




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 155 (4665)

1972 წ. 9 აგვისტო, ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## „მელას" კუდი უჩანს...

**ტალინი, 7 აგვისტო.** ესტონეთის დედაქალაქის წარმტაც შემოგარენში ჩატარდა XV საკავშირო ჩემპიონატი რადიოთამაშში „მელაზე ნადირობა", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესმა რადისტმა სპორტსმენებმა.

ხშირ ტყეში საგულდაგულოდ ჩამალული „მელების" რადიოსადგურები ყველაზე სწრაფად აღმოაჩინეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ უკრაინელები, III — ლენინგრადის რადიომონადირეები.

პირად ჩათვლაში ამოცანა — რადიოაპარატურის დახმარებით მოკლე დროში 10-კილომეტრიან მანძილზე 5-დან 4 დამალული სადგურის აღმოჩენა — ყველაზე უკეთ შეასრულეს მოსკოველმა ლ. კოროლიოვმა, მინსკელმა ვ. პრუდნიკოვმა და ლენინგრადელმა ვ. კირგეტოვმა.

ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა გორკელმა ლ. ზორინამ. II ადგილზეა მისი თანაქალაქელი ი. მურილიოვა. III — მოსკოველი რ. ადამენკო.

## ახალი ამბები-72

● **ტულუზა, 7 აგვისტო.** საფრანგეთის ამ ქალაქის მახლობლად მდებარე „მონტოდრანის" საფრენოსნო მინდორზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ავიასამოდელო სპორტში. პირველობის სტარტზე 10 ქვეყნის გუნდები გამოვიდნენ. საბჭოთა „ავიაკონსტრუქტორებმა" საკორდო მოდელებით შეჯიბრებაში II გუნდური ადგილი დაიკავეს. ამ სახეობაში ყველას აჯობა პოლონეთის გუნდმა, ხოლო III ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გავიდა. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I. ოსტროვსკი — 4120,5 ქულა, II. პოდვორსკი (ორივე — პოლონეთი) — 3897, III — ფექსი (საფრანგეთი)—3828,5. საბჭოთა სპორტსმენების შედეგები ასეთია: შაევსკი — V ადგილი (3643 ქულა), ბარსუკოვი — VI (3397), კრასნორუცკი — IX (3154).

● **სტოკჰოლმი, 7 აგვისტო.** შვეციის ჰოკეისტთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. ეს გახლავთ 33 წლის ჩ. სვენსონი — ყველაზე ახალგაზრდა დამრიგებელი „ტრე კრუნურის" არსებობის ისტორიაში. მანამდე სვენსონი „სედერტელიეს" წვრთნიდა, რომელმაც შარშან კარგ შედეგებს მიაღწია. სვენსონი უწინ მეკარედ თამაშობდა და ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 143 შეხვედრა ჩაატარა. თავის დროზე იგი „ტრე კრუნურის" ყოფილ მწვრთნელს ა. სტრიომბერგს ეხმარებოდა. კონტრაქტის თანახმად, სვენსონი ნაკრებს 1972-73 და 1973-74 წლების სეზონებში უხელმძღვანელებს. სექტემბერში „ტრე კრუნური" კანადის პროფესიონალებს ეთამაშება. 6-7 ნოემბერს დაგეგმილია მატჩები მსოფლიო ჩემპიონთან — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან, 13-14 დეკემბერს კი ფინელებთან. მერე შვედები „იზვესტიის" პრიზის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას.

● **იუვიასკიულე, 7 აგვისტო.** საერთაშორისო ავტორალი „1000 ტბა" ფინელი მრბოლელების გამარჯვებით დამთავრდა, რომელთაც ცენტრალურ ფინეთში მდებარე ამ ქალაქის მიდამოებში ჰქონდათ ფინიში. 1570-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე კარგად გაიარა „სააბ 96"-ის ეკიპაჟმა: ს. ლამპინენმა და ა. სულბერგმა. ფინელებს ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა დაუგროვდათ — 17868. სამი საბჭოთა ეკიპაჟი, რომლებიც „მოსკვიჩ 412"-ით გამოდიოდნენ, მაღალი შედეგით ვერ დაიტრაბახებს. გ. ბუბნოვმა და ა. პეჩონკინმა 36-ე ადგილი დაიკავეს (23053), გ. ციმერმანმა და ა. კარამიშევმა — 37-ე (23291), ა. რეეჩიცკიმ და ვ. ბოგომოლოვმა — 46-ე (24697). თუმცა ავტორბოლა ნისლიან ამინდში მიმდინარეობდა, სიჩქარე ყველა წინა ამგვარი რალის დროს ნაჩვენებზე მაღალი იყო.


ახალი ამბები-72


## ჩვენს რესპუბლიკაში

რა შეიძლება საქართველოში კაცმა ინატროს და ნატვრა ვერ შეისრულოს! წლის რომელი დრო შეგაწუხებს და დაგღლის ჩვენში? ცხელა და ცხელა, პაპანებაა, მაგრამ რა მერე. აგერ, შავი ზღვა, ლურჯი ტალღები და თეთრი იალქანი... ეს ერთ კუთხეში — სოხუმის ყურეში.

უფრო მაღლა კი, კავკასიონის ქათქათა მთებში, ზამთარია, ნამდვილი, ღრმა ზამთარი. აქ მხოლოდ მამაც მთამსვლელთა, თოვლისა და მზის სამეფოა. აირჩიე, ადამიანო, და საითაც გულმა უფრო გაგიწიოს, იქით წადი!

გ. იაშვილისა და ვ. გაბელაშვილის ფოტოები.

## დევისის თასის ფინალისტები

დევისის თასის გათამაშების ფინალში თამაშის უფლება რუმინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა მოიპოვეს. ეს ცნობილი გახდა 7 აგვისტოს, როცა რუმინელებმა ბუქარესტის „პროგრესულის" კორტებზე ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ავსტრალიის ნაკრები, ხოლო ბარსელონაში ესპანელმა ჩოგბურთელებმა წაგების სიმწარე იწვნიეს ამერიკელებთან შეხვედრაში — 2:3.

აი, ამ შეხვედრების ტექნიკური შედეგები:

**ბუქარესტი.** ილიე ნასტასე (რუმინეთი) — კოლინ დიბლი (ავსტრალია) 6:3, 6:0, 6:2, იონ ცირიაკი (რუმინეთი) — მელ ანდერსონი (ავსტრალია) 6:2, 6:2, 6:8, 4:6, 4:6; ცირიაკი — დიბლი 6:4, 3:6, 11:13, 6:3, 6:0; ნასტასე — ანდერსონი 6:2, 6:2, 4:6, 6:3; წყვილთა შეხვედრა: ნასტასე — ცირიაკი და ანდერსონი — დიბლი 6:2, 6:2, 6:2.

**ბარსელონა.** სტენლი სმითი (აშშ)—ანდრეს ხიმენო (ესპანეთი) 8:6, 5:7, 3:6, 4:6; ჰაროლდ სოლომონი (აშშ) — ხუან გისბერტი (ესპანეთი) 9:7, 7:5, 0:6, 1:6, 6:4; სმითი — გისბერტი 11:9, 10:8, 6:4; სოლომონი — ხიმენო 3:6, 1:6, 6:2, 2:6; წყვილთა შეხვედრა: სმითი — ერიკ ვან დილენი და გისბერტი — ხიმენო 6:3, 0:6, 6:2, 6:3.

## კარგი სტარტი

**კატანია, 8 აგვისტო.** სიცილიის კუნძულზე მდებარე ამ ქალაქის სპორტის სასახლეში დღეს დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის ნაკრები კოლექტივები და ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტთა გუნდი.

პირველ მატჩში საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 93:60 (45:16) სძლიეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. საბჭოთა გუნდში გამოვიდნენ კრიკუნი, პაულაუსკასი, საკანდელიძე, ჟარმუხამედოვი, ბოლოშევი, ედეშკო, ს. ბელოვი, ჭორქია, ვოლნოვი, ა. ბელოვი, დვორნი და არზამასკოვი.

## მძლეოსანთა მაღალი შედეგები

**იზმირი, 7 აგვისტო.** თურქეთის ამ ქალაქის სტადიონზე მიმდინარე ბალკანიადაში ბულგარელმა მხტომელმა ქალებმა დიდებულ შედეგებს მიაღწიეს. სიმაღლეზე ხტომაში იორდანკა ბლაგოევამ წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი (190 სმ) გაიმეორა. ამაზე მაღლა მხოლოდ ამჟამინდელი მსოფლიო რეკორდსმენი ილონა გუზენბაუერი (ავსტრია) და ექს-რეკორდსმენი იოლანდა ბალაში (რუმინეთი) გადამხტარან.

29 წლის დიანა იორგოვა 670 სმ სიგრძეზე გადახტა, რაც ბულგარეთის რეკორდი და მეორე შედეგია წლეულს მსოფლიოში.

ბულგარეთის რეკორდი დაამყარა ქუცანა მოლოვამაც, რომლის შუბი 60,58 მეტრზე გაფრინდა.

100 მეტრზე ვაჟთა რბენაში პირველი იყო ბერძენი ვასილიოს პაპაგეორგოპულოსი — 10,2, ხოლო მისმა თანამემამულემ, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ხრისტოს პაპანიკოლაუმ გაიმარჯვა ჭოკით ხტომაში—540 სმ.

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა 800 მეტრზე ქალთა რბენაში. მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ილიანა სილაიმ (რუმინეთი) 2.02,0 აჩვენა და ნახევარი წამით მიისწრო ფინიშთან ევროპის ჩემპიონს ვერა ნიკოლიჩს (იუგოსლავია).

ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში სამმა მოასპარეზემ გადალახა 217 სმ. ამას ყველაზე ნაკლები ცდა მოანდომა ვასილიოს პაპადიმიტრიუმ (საბერძნეთი).

**ლონდონი, 7 აგვისტო.** აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 19 წლის კანადელმა დები ბრილმა, რომელიც ფოსბერის ყაიდის თავისი ვარიანტით ხტება, 186 სმ სიმაღლე დაძლია. 24 წლის იტალიელმა მარიო ვეკიატომ ეროვნული რეკორდი დაამყარა ყუროს ტყორცნაში — 71,98 მ.

გახელმა ელის ანუმმა 200 მ 23,7 წამში გაირბინა.

**ლონგ-ბიჩი, 7 აგვისტო.** კალიფორნიის ამ ქალაქში ადგილობრივ მძლეოსანთა შეჯიბრების დროს ალ ფოიერბახმა 21,52 მეტრზე ჰკრა ბირთვი, რაც მეორე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში. 185 სმ სიმაღლისა და წონით 108-კილოგრამიანმა ათლეტმა მართლაც შესანიშნავ შედეგს მიაღწია. ეს მაჩვენებელი ოდნავ ჩამორჩება ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი რენდი მატსონის მსოფლიო რეკორდს (21,78 მ).

ფოიერბახმა მიუნხენის საგზური მოიპოვა აშშ-ს მძლეოსანთა ამასწინანდელ შესარჩევ შეჯიბრებაში.

# ცვლა უკეთ უნდა მოვამზადოთ!

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის მსროლელთა შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ავხსნათ, რატომ ვერ გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები ამ დიდ შეჯიბრებაში თავიანთ შესაძლებლობათა დონეზე, რატომ ვერ შეივსო გუნდი IV სპარტაკიადის შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში ნიჭიერი სპორტსმენებით.

ეს რამდენადმე იმის შედეგი იყო, რომ ახალგაზრდებთან, პერსპექტიულ მოზარდებთან მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. თუ საქმეს ღრმად ჩავუკვირდებით, აშკარა გახდება, რომ მოზარდ მსროლელთა დაოსტატებისთვის ზრუნვა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. ეს, რასაკვირველია, ხელს უშლის მათი ტექნიკური შედეგების ზრდას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ გადავხედოთ მოზარდ მსროლელთა შედეგებს ამ ბოლო ხანებში.

1971 წელს საქართველოს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოსა და დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის მოზარდთა ნაკრებ გუნდებს ასეთი შედეგები აქვთ მოპოვებული: საქართველოს ნაკრები სსრ კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში X ადგილზეა, დოსააფის რესპუბლიკურმა ნაკრებმა საკავშირო ასპარეზობაში XI ადგილი დაიკავა, „დინამოს" ნაკრები კი თავისი საზოგადოების საკავშირო ჩემპიონატში XII ადგილზეა. შეიძლება თუ არა შემთხვევითად ჩაითვალოს საერთო გუნდური შედეგების ასეთი დამთხვევა?

ჩვენი აზრით, ეს შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებს მოზარდ მსროლელთა მომზადებაში არსებულ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს სასწავლო-საწვრთნელ პროცესში.

სსრ კავშირის პირველობის პირად ჩათვლაში პროგრამით გათვალისწინებულ შვიდ სახეობაში I–X ადგილებზე გასულთა შორის, ესე იგი, 70 კაცში, საქართველოს სულ ოთხი სპორტსმენი იყო — სამი სოხუმელი ჭაბუკი და ერთი ქუთაისელი ქალიშვილი. მათგან 3 ნორჩი დინამოელის წარმომადგენელია, ერთი კი სოხუმის მოზარდთა სპორტსკოლისა.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მოზარდებთან მუშაობაზე თბილისში. აქ ეს საქმე ავალიათ „დინამოს", განათლების განყოფილების სპორტულ სკოლას, დოსააფის სასროლო კლუბს. არმიის სპორტკლუბს დიდი შესაძლებლობები აქვს მოზარდთა შორის სასროლო სპორტის განვითარებისთვის, მაგრამ გვერდს უვლის ყველა ამ სამუშაოს.

აღნიშნულ სპორტულ ორგანიზაციებში მსროლელ მოზარდებთან საკმაო რაოდენობით მუშაობენ მწვრთნელები, მაგრამ ბოლო წლებში თბილისის ნაკრები ქუთაისისა და აფხაზეთის მსროლელებთან აგებს. 1970 წელს XXII და 1971 წელს XXIII რესპუბლიკურ სპარტაკიადებში საერთო გუნდურ ჩათვლაში იგი II და III ადგილზე იყო. თბილისელებმა ქუთაისელებთან საერთო გუნდური პირველობა წლევანდელ სპარტაკიადაშიც წააგეს. დავუმატებთ, რომ პირად პირველობაში საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ექვს ვარჯიშში პირველ სამ ადგილზე ძალიან ცოტა თბილისელი მოხვდა. ეს აქ მოყვანილი ცხრილიდანაც ჩანს.

### პირადი ადგილები

| გუნდი | 1970 წ. I | 1970 წ. II | 1970 წ. III | 1971 წ. I | 1971 წ. II | 1971 წ. III |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | — | 1 | 2 | 1 | — | 1 |
| ქუთაისი | 5 | 4 | 2 | 3 | 3 | 2 |
| აფხაზეთის ასსრ | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 3 |
| აჭარის ასსრ | — | — | 1 | — | — | — |

მაინცდამაინც სახარბიელო არ არის მონაწილეთა ტექნიკური შედეგებიც. მაგალითად, შეჯიბრების 18 პრიზიორიდან როგორც 1970, ისე 1971 წელს 10 მონაწილე, ესე იგი 50 პროცენტზე მეტი, სროლის კლასიფიკაციის სათანრიგო ნორმატივებში ვერ ჩაეტია. თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკის მოზარდთა საუწყებო პირველობებში ცალკეულ საზოგადოებათა და უწყებათა ხაზით თბილისის გუნდები საერთო გუნდურ და პირად შეჯიბრებაშიც ჩამორჩებიან ქუთაისისა და სოხუმის კოლექტივებს, ნათელი გახდება, რომ მოზარდთა დაოსტატების საქმეს დიდი მზრუნველობით არ ეკიდებიან სასროლო სპორტის ფედერაცია და ქალაქის სპორტკომიტეტი.

მწვრთნელის მუშაობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი საბოლოო ჯამში მისი მოწაფის მიერ შეჯიბრების დროს მოპოვებული შედეგია. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდთა შეჯიბრებები ნაკლებად ტარდება როგორც რესპუბლიკის, ისე ქალაქის მასშტაბით. ახალგაზრდა მსროლელებს საშუალება არა აქვთ მთლიანად გამოავლინონ თავიანთი უნარი, მომზადების დონე, შეიძინონ გამოცდილება ტურნირებში. თავის მხრივ, ეს მწვრთნელის მუშაობის შეფასების საშუალებას არ გვაძლევს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საკავშირო სარბიელზე ჩვენი ახალგაზრდა მსროლელების წლევანდელი წარუმატებლობის მიზეზი ესეც არის.

ქალაქის სპორტულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ ახალგაზრდა მსროლელთა სპორტულ-ტექნიკური შედეგების ზრდა და თავიანთი მუშაობა ამის მიხედვით წარმართონ, განხილვის საგნად აქციონ მოზარდებთან მომუშავე ყოველი მწვრთნელის პრაქტიკული საქმიანობა.

საქართველოს სასროლო სპორტის ფედერაციამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მოზარდთა შორის სროლის განვითარებას, მიიღოს ყველა ზომა ახალგაზრდა მსროლელთა შორის სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის, რათა ცვლის მომზადება არ შეფერხდეს.

**შ. ქველიაშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ა. ოგანეზოვი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### ალპინიადა... მდინარის ფსკერზე

ტაჯიკეთის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვა „მურევესტნიკის" მეკლდეურთა საგანგებო რაზმი, რომელიც ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მონაწილეობდა. დაჯილდოებულთა შორის არიან ქვეყნის ჩემპიონები მ. პეტროვი, გ. გავრილოვი, ო. კოსმაჩოვი და სხვ.

მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, ალმა-ათის, ქვეყნის სულ სხვადასხვა ქალაქის ოსტატი მეკლდეურები ყოველწლიურად იყრიან თავს საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ-ახალგაზრდულ მშენებლობაზე, რათა განსაკუთრებით მძიმე სამუშაოების შესრულებაში დაეხმარონ მშენებლებს.

წლეულს მთამსვლელებმა მთებიდან გადაინაცვლეს... მიწის ქვეშ, ყოფილ ვახშის ფსკერზე, სადაც მე-3 სამშენებლო გვირაბის ჩამკეტის დასაშვები კომპლექსი-კამერა იქნება. აქ მძლავრი მექანიზმები სადგურის ტურბინებს წყალს მიაწვდიან.

ერთი თვის განმავლობაში სხვადასხვა სამთოტექნიკური საქმის სპეციალისტმა 32 სპორტსმენმა აფეთქების შედეგად 700 კუბური მეტრი მიწა ამოიღო და ზედაპირზე 2 ათასი კვადრატული მეტრი გაამაგრა. ეს საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე მათ ფრიადზე შეასრულეს.

ნურეკი.

### „ჯანმრთელობის პასპორტები"

ამ დღეებში პეტროვსკის სახელობის დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შრომის წიგნაკებს კიდევ ერთი საბუთი შეემატა — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ჩათვლის წიგნაკი. საბუთი სტადიონებსა და აუზებზე ივსება.

კომპლექსის ნორმატივებს უკვე მასობრივად აბარებენ მეტალურგები და მათი ოჯახის წევრები. ქარხნის სპარტაკიადის დებულებაში წერია, რომ ასპარეზობა „ტარდება მშდ კომპლექსის პროგრამით ყოველ ასაკობრივ ჯგუფში, აგრეთვე, სპორტის დამატებით სახეობებში". სპორტკლუბ „სტალის" გამგეობა, კომკავშირის კომიტეტი, დოსააფის ორგანიზაცია ყურადღებას არ აკლებენ სპორტულ ბაზებს.

არც უმცროსი თაობა ავიწყდებათ. სპორტკლუბმა ინსტრუქტორთა ჯგუფი გაგზავნა პიონერთა ბანაკში და ტურბაზა „სოლნეჩნაიაში", სადაც 3000-ზე მეტი ბავშვი ისვენებს.

დნეპროპეტროვსკი.

### მარათონი საბრძოლო ადგილებში

ბელგოროდის ოლქის დაბა სტროიტელში რსფსრ-სა და უკრაინის რამდენიმე ოლქის მძლეოსნებმა სტარტი აიღეს ტრადიციულ 30-კილომეტრიან გარბენში, რომელიც საბრძოლო დიდების ადგილებში მოეწყო. შეჯიბრება კურსკის ცეცხლოვან რკალზე გამართულ ერთ-ერთ უდიდეს ბრძოლაში საბჭოთა არმიის გამარჯვების 29-ე წლისთავს მიეძღვნა.

ტრასა ძალიან მძიმე იყო. მაღალი აღმართებისა და 35-გრადუსიანი სიცხის გამო ზოგიერთმა მორბენალმა ბრძოლა ნახევარ გზაზე შეწყვიტა. დანარჩენები შეუპოვრად მიიწევდნენ ფინიშისკენ — კვარცხლბეკზე მდგარი ტანკისკენ. ესაა კურსკის ბრძოლის გმირების ძეგლი, რომელიც მოსკოვ—სიმფეროპოლის ავტომაგისტრალის 624-ე კილომეტრზეა აგებული.

დისტანცია პირველმა დაამთავრა ხარკოველმა იგორ შჩერბაკმა, სსრ კავშირის თასის მფლობელმა მარათონულ რბენაში, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატმა. მისი შედეგია 1:42.13.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ხარკოველებმა. II ადგილი დაიკავეს კურსკელმა სპორტსმენებმა, III — ბელგოროდის მძლეოსნებმა.

გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცეს კურსკის რკალის ბრძოლის ვეტერანებმა.

ბელგოროდი.

### მაიაკოვსკი

გაიმართა რაიონის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთში I ადგილი დიმის კულტსახლის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს, ფრენბურთში — რაიკოოპერატივის წარმომადგენლებმა.

**ი. ენდელაძე.**

### ქარელი

ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება მოიპოვეს რუისის საბჭოთა მეურნეობის ფალავნებმა (მეთოდისტი უ. ბუზიაშვილი). პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს: ტ. ...ცნატამშვილმა (რუისი), ც. სიხაშვილმა (ზემო ხვედურეთი), გ. ბერუაშვილმა (აბისი), ვ. ქოთუაშვილმა, ს. გოგალაძემ (ორივე — დირბი), ა. მასურაშვილმა (ხვედურეთი), ნ. იმერლიშვილმა (დირბი), ზ. ბუზიაშვილმა (რუისი).

**გ. ხარტიშვილი,**
„კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

### ოსტატის შედეგით

ლვოვში გაიმართა შეიარაღებული ძალების იუნიორთა საკავშირო პირველობა ტყვიის სროლაში. წარმატებით იასპარეზა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, რიგითმა გ. მურადიანმა. მან „გაქცეულ ირემზე" (50 ერთმაგი გასროლა) შეჯიბრებაში 3 ქულის გადაჭარბებით (228) პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და ამ ვარჯიშში 37 მონაწილეს შორის II ადგილი დაიკავა.

**რ. კაცოლაშვილი.**



### ახალი წიგნები

### „თამაშობს ანდრია დადიანი"

„საბჭოთა საქართველომ" ამას წინათ „ლელოს" ბიბლიოთეკის სერიით გამოსცა თენგიზ გიორგაძის ახალი წიგნი — „თამაშობს ანდრია დადიანი" (ტირაჟი — 10 ათასი ცალი, ფასი — 17 კაპ.).

„ქართველ მოჭადრაკეთა ნუსხა ანდრია დადიანით იწყება. იგი არ იყო პროფესიული მოთამაშე, მაგრამ უსაზღვროდ უყვარდა ჭადრაკი, მეცენატობდა მას და თავისი დროისთვის — XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის — საკმაოდ კარგად თამაშობდა. ეს მონოგრაფია ა. დადიანის საჭადრაკო ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაწერილია XIX საუკუნის რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის საჭადრაკო ჟურნალებისა და ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის ისტორიულ მუზეუმში დაცული ა. დადიანის არქივის შესწავლის შედეგად", ვკითხულობთ წიგნის შესავალში.

წიგნი ორი ნაწილისგან შედგება: „ბიოგრაფიული ნარკვევი" და „რჩეული პარტიები". წიგნში არის ფოტოსურათები, ვ. სტეინიცის, ე. ლასკერის წერილების ფოტორეპროდუქციები. ბევრი პარტიის კრიტიკული მომენტი დიაგრამაზეა აღბეჭდილი.

**ც. ფსქიალაძე.**

# ასპარეზობის ნაცვლად... მილიციაში

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აუზიააგეს. ავადმყოფებს ძალიან მოეწონათ ახალი ნაგებობა და ხშირად ერთობოდნენ თავით უწყლო აუზში ხტომით. ამ სამკურნალო დაწესებულების მთავარმა ექიმმა თავის პაციენტებს გამხნევება შეუქო და შეჰპირდა, თუ კარგად მოიქცევით აუზს წყლით ავავსებთო. ამ ანეკდოტს თითქოს საერთო არაფერი აქვს იმასთან, რაც ახლა თქვენ უნდა გიამბოთ, მაგრამ პატარა დეტალით მაინც წააგავს ამბავს, რაც ამას წინათ მოხდა თბილისიდან ერევნისკენ მიმავალ მატარებელში.

საქართველოს წყალში მხტომელთა გუნდი დიდხანს ემზადებოდა საკავშირო შეჯიბრებისთვის, რომელიც წახკაძორში უნდა ჩატარებულიყო. გამგზავრების დღე დადგა. სპორტსმენები და მათი მწვრთნელები უკლებლივ გამოცხადდნენ თბილისის ვოგზალში. მატარებელმა ერევნისკენ აიღო გეზი, მწვრთნელებმა — ერთ-ერთ ვაგონში მოწყობილი ბუფეტისკენ. დაილია მომავალ საკავშირო შეჯიბრებაში საქართველოს სპორტსმენთა წარმატებით გამოსვლის პირველი სადღეგრძელო, მეორე, მესამე და ა. შ. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბ. პოლულიახი სიყვარულს ეფიცებოდა თავის კოლეგებს რ. არუთინოვს, ბ. პლევაკოს და სხვა თანამესუფრეებს. მეგობრული საუბარი ხმამაღლა ლაპარაკში გადავიდა, შემდეგ მეინახეებს თვალში არ მოუვიდათ სხვა მაგიდასთან მსხდომი მგზავრები და...

მატარებლის უფროსის ბრძანებით ერთ-ერთ სადგურზე წყალში ხტომის ვაისპეციალისტები ვაგონიდან ჩამოაბრძანეს და მილიციაში წააბრძანეს.

წახკაძორში საქართველოს ნაკრების წევრები უფროსი მწვრთნელის გარეშე გამოცხადდნენ. რა გულით უნდა ესპარეზათ, როცა მთავარი ჭკუის დამრიგებელი არსად ჩანდა, მას თვით არიგებდნენ ჭკუას მილიციის სამორიგეოში.

საქართველოს წარგზავნილებმა მაინც იყოჩაღეს, კარგად გამოვიდნენ.

ამ წერილის გმირები მხოლოდ მესამე დღეს ჩავიდნენ შეჯიბრების ადგილას. ისე ურცხვად იქცეოდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თითქოს მამა აბრამის ბატკნები ყოფილიყვნენ.

„ასპარეზობის" მთავარ გმირს ბ. პოლულიახს კარგა ხანია იცნობენ, როგორც ბახუსის ტრფიალს, რომელმაც ერთ დროს სპორტული სინდისი სპირტიან სასმელში გაცვალა და ამის გამო სასტიკად დაისაჯა — აეკრძალა სარბიელზე გამოსვლა. გავიდა წლები, ყოფილმა სპორტსმენმა, წინათ ევროპაში უძლიერესმა წყალში მხტომელმა თითქოს მოინანია თავისი დანაშაული. ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მას საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელობა დაავალა. მოსალოდნელი იყო, რომ პოლულიახი ახალგაზრდობას გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა: სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ჩვენი წყალში მხტომელები ისე უხეიროდ გამოვიდნენ, მათი შედეგების გახსენება უხერხულადაც მიგვაჩნია. პოლულიახმა მაღალი სპორტული ტიტულები ლოთობაზე გაცვალა, ამ წუმპეში სხვებიც ჩაითრია და დანაშაული ჩაადენინა.

ამ ვაისპეციალისტების უღირსი ქცევის ასაწერად კალმის აღებაც კი უსიამოვნო გრძნობას იწვევდა, მაგრამ გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ ჩვენში ბახუსის მოყვარული მწვრთნელები თუ სპორტსმენები თითებზე ჩამოსათვლელი არიან. გვინდა ეს ერთეულებიც არ ჰქონდეთ, რათა მათმა ბაცილამ არავინ დაავადოს, არ დაასნეულოს. მათ ალბათ არც უწყლო აუზში თავით გადაშვება უშველით, ზემოთ რომ ვწერდით, იმ კატეგორიის პაციენტებივით.

**ჯ. ზურაბაული.**

# ექვსი ფინალისტი

## თბილისის „დინამო“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია

გროდნოსა და ნალჩიკში გაიმართა II ჯგუფის რეგბისტთა გუნდების საკავშირო პირველობის მატჩები ქვეჯგუფებში. გამოვლინდა ფინალური ეტაპის ექვსი მონაწილე.

როგორც მკითხველებმა იციან, თბილისის „დინამო“ წლეულს განახლებული შემადგენლობით თამაშობს და გროდნოში ყველა მეტოქეს დამაჯერებლად სძლია.

შარშანდელი მარცხის შემდეგ, როცა დინამოელებმა უმაღლესი ლიგა დატოვეს, ცოტა თუ დაიჯერებდა, რომ ისინი შეძლებდნენ ძალ-ღონის მოკრებას და კვლავ გააგრძელებდნენ ბრძოლას უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზურისთვის. მართალია, გუნდს გადამწყვეტი ბრძოლა წინ აქვს, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ იგი სწორ გზაზე დგას.

პირველი თამაში ბაქოს „დინამოსთან“ თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 42:9. მეორე შეხვედრა რიგის ვეფ-ის გამოცდილ კოლექტივთან ბევრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. რიგელებმა „დინამოს“ პირველი მატჩის შემდეგ სათანადო ანალიზი გაუკეთეს: ყურადღება გაამახვილეს თბილისელთა სამმეოთხედელებზე და ნახევარდაცვაზე, რომელთაც თამაშში ყველა გოლი გაიტანეს. მაშინ დავითაია მოხეტიალე ნახევარმცველის როლს ასრულებდა. სამაგიეროდ, რიგელებთან შეხვედრაში თავი გამოიჩინეს შერკინების მოთამაშეებმა, რომლებმაც მეტოქე პირდაპირ გაანადგურეს. შერკინების მოთამაშეები თუშიშვილი, ნაცვლიშვილი, ბენიაშვილი, კეთილაძე, დავითაია, მამულაშვილი, რამიშვილი, ცუხიშვილი, ფაჯიშვილი, ძამაშვილი შერკინების ლიდერის ბუგიანიშვილის მეთაურობით მეტოქეს თავს ახვევდნენ ხან ძალისმიერ ბრძოლას, ხან გაშლილ კომბინაციურ თამაშს მარაოზე. ვეფ-ი ასეთი დიდი ანგარიშით (3:29) ჯერ არ დამარცხებულა. მით უმეტეს, სასიამოვნო იყო, როცა ჩვენებს გამარჯვება რიგელებმა პირველებმა მიულოცეს.

მესამე შეხვედრაში ჩვენი მეტოქე იყო მოსკოვის „ხიმკი“, რომელმაც წინა თამაში მოსკოვისავე „ლოკომოტივთან“ წააგო. თბილისელებმა მეტოქეს უკვე შესვენებამდე გადაუწურეს ყველა იმედი — 19:0. საბოლოოდ „დინამომ“ გაიმარჯვა ანგარიშით 25·4.

მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მატჩი თბილისელებმა მაღალ ტემპში დაიწყეს, რათა მეტოქე თავშივე გაეტეხათ. „ლოკომოტივმა“ თავგამოდებული თამაშით გაუძლო „დინამოს“ იერიშებს და პირველი ბურთიც კი გაიტანა. ამ მომენტში სრული ძალით ამუშავდა ვეტერანების დუეტი (აბაშიძე — კიზირია). კიზირიამ დაამტკიცა, რომ იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო რეგბისტია. საბოლოოდ — 15:6 თბილისელების სასარგებლოდ.

გროდნოელებმა ტურნირისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. სპეციალური პრიზებიდან თბილისელებმა მოიპოვეს გამარჯვებული გუნდის, საუკეთესო თავდამსხმელის (დავითაია), საუკეთესო ნახევარმცველის (აბაშიძე), საუკეთესო ჩამკეტის (შუანდერი), საუკეთესო ბომბარდირისთვის (კიზირია) დაწესებული ჯილდოები.

წინ გადამწყვეტი შეხვედრებია. ფინალურ ტურნირში თბილისელები 4 ოქროს ქულით შევიდნენ. ფინალში 4 ქულით შევიდა ნალჩიკის „სპარტაკიც“, რომელმაც თავისი ქალაქის ქვეჯგუფში პირველობა მოიპოვა.

ფინალურ ჯგუფში ითამაშებენ, აგრეთვე, მოსკოვის „ლოკომოტივი“, კაუნასის „პოლიტექნიკი“, ალმა-ათის „უნივერსიტეტი“ და რიგის ვეფ-ი.

ფინალური თამაშები ვილნიუსში 15 აგვისტოს დაიწყება. მანამდე თბილისის გუნდი მონაწილეობდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში (ლვოვი).

„დინამოს“ ჩემპიონატში პირველი მატჩი თბილისელებმა კიევის გუნდთან ფრედ (6:6) დაამთავრეს.

სხვა შეხვედრები ჩვენებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და რეგბისთვის იშვიათი ანგარიშითაც დაამთავრეს: ბაქოს გუნდს მოუგეს — 157:3, ერევნელებს — 72:0, მასპინძლებს — 99.0. მხოლოდ მოსკოვის კოლექტივმა შეძლო ერთგვარი წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ წაგებას მაინც ვერ ასცდა: თბილისელებმა აქაც გაიმარჯვეს — 15:3.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონებს ტურნირში ისეთი შეფარდება აქვთ (349:12), როგორიც ვერც ერთი გუნდი ვერ დაიტრაბახებს.

აქაც, როგორც გროდნოში, საუკეთესო ბომბარდირის პრიზი კიზირიამ მოიპოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სეზონი ი. კიზირიასთვის ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანია.

მაშ ასე, 15 აგვისტოს „დინამო“ სსრ კავშირის ჩემპიონატის I ჯგუფში გადასვლისთვის გადამწყვეტ ეტაპს — ფინალურ შეჯიბრებას იწყებს. დაველოდოთ ამ ტურნირის დამთავრებას.

**გ. მრელაშვილი,**
თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

---

მიუნხენი-72

### სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

7 აგვისტოს გამართული მორიგი კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ტრუდი“ (ვორონეჟი) 2:1, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „სალუტი“ (ბელგოროდი) 2:0, „დინამო“ (ბრიანსკი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:0, „ზვეზდა“ (ტირასპოლი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 4:1, „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:1, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „დილა“ (გორი) 0:0, „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:0.

# რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე

### ყვარელი

საინტერესოდ მიმდინარეობდა რაიონული შეჯიბრება სოფლის ფეხბურთელთა შორის „ოქროს თავთავის“ პრიზზე.

წარმატება ხვდა ყვარლის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო კონტორის გუნდს — „მშენებელს“. მომდევნო ადგილებზე არიან ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ქინძმარაულის გუნდები.

**რ. მეტრეველი.**

### კასპი

რაიონის პირველობის გათამაშებაში 16 გუნდი მონაწილეობდა.

ასპარეზობის ფინალური ნაწილი ოთხმა გუნდმა გაითამაშა. საბოლოოდ I ადგილი დაიკავეს ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ ფეხბურთელებმა. II ადგილზეა კასპის ცემენტის ქარხნის ნაკრები, ხოლო III — სპორტსკოლის გუნდი.

ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ გუნდის გამარჯვებით დამთავრდა „განთიადის“ რაისაბჭოს პირველობა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ცემენტის ქარხნის კოლექტივი და სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ახალგაზრდული გუნდი.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

### ქობულეთი

ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და ჩაისუბნის კოლმეურნეობის გუნდებმა რაიონულ ჩემპიონატში ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს.

საჭირო შეიქნა დამატებითი შეხვედრის ჩატარება. ჩაქველებმა (მწვრთნელი ს. ავალიანი) კარგად ითამაშეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 5:2 და ჩემპიონობაც მოიპოვეს.

გათამაშებაში 12 გუნდი მონაწილეობდა.

**ლ. ტრაპაიძე.**

---

## ალა კუშნირი — სპორტის დამსახურებული ოსტატი

**მოსკოვი, 8 აგვისტო.** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გამოჩენილ მოსკოველ მოჭადრაკეს, საერთაშორისო ოსტატ ალა კუშნირს თვალსაჩინო მიღწევებისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა.

---

◆ **ვეილე, 8 აგვისტო.** დანიის ამ ქალაქში დაიწყო ევროპის იუნიორთა XV ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. სარბიელზე გამოვლენ 24 სახელმწიფოს ახალგაზრდა მოთამაშენი. საბჭოთა ნაკრებს თავკაცობს შარშანდელ პირველობაში აბსოლუტური გამარჯვებული ა. სტროკატოვი (ლვოვი). ჩემპიონატი ტრადიციულად გუნდური ასპარეზობით დაიწყო. პირველმა შეხვედრებმა საბჭოთა ჩოგბურთელებს წარმატება მოუტანა: უფროსი ასაკის ჭაბუკთა გუნდმა ანგარიშით 5:0 სძლია ლუქსემბურგის ნაკრებს, უმცროსი ასაკისამ — 3:0. უფროსი ასაკის ქალიშვილთა კოლექტივმა ფრანგი თანატოლები დაამარცხა — 3:1. ჩემპიონატი 12 აგვისტომდე გასტანს.

◆ **ბერლინი, 8 აგვისტო.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდმა დიდი ანგარიშით სძლია ვაისვასერის დინამოელებს (გდრ) — 11:1. მოსკოველთაგან ყველაზე შედეგიანნი იყვნენ ფირსოვი და პეტროვი, რომლებმაც მეტოქეთა კარში 3-3 შაიბა გაიტანეს. ერთადერთი საპასუხო გოლი მანმა გაიტანა ცსკა-სა და „დინამოს“ მეორე შეხვედრა ნოემბრის დამდეგს გაიმართება მოსკოვში.

---

# მთავარი ფავორიტები

ერევნელმა ფ. მელნიკმა მოსკოვში მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის“ თასის გათამაშებაში უკონკურსოდ ასპარეზობისას ბადროს ტყორცნაში ფენომენალურ შედეგს—66,76 მეტრს მიაღწია და მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ამ დროს იზმირში (თურქეთი), სადაც ბალკანეთის ქვეყნების თამაშების პროგრამით მძლეოსანთა ასპარეზობა მიმდინარეობდა, თავი გამოიჩინა რუმინელმა ა. მენისმა, რომელმაც ბადრო 66,58 მეტრზე ტყორცნა.

მენისი მსოფლიო რეკორდით გახარებული მხოლოდ მანამდე იყო, ვიდრე მის ყურამდე მელნიკის შედეგი მიაღწევდა.

ერთი უდავოა, მიუნხენის ოლიმპიადის მთავარ ფავორიტებად ქალთა შორის ბადროს ტყორცნაში მელნიკი და მენისი რჩებიან.

---

# პედრო პერეს დუენიასის გეგმები

**ჰ**ავანის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის, 19 წლის პედრო პერეს დუენიასის აქციებმა მიუნხენის ოლიმპიადის წინ საგრძნობლად აიწია — სამხტომში მას ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ასახელებენ.

პედრო პერეს დუენიასი პირველი კუბელი მსოფლიო რეკორდსმენი გახლავთ. ეს წოდება მან მარშან პანამერიკულ თამაშებში მოიპოვა, სადაც სამხტომში 17,40 მ აჩვენა: მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონის, თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სანეევის მსოფლიო რეკორდს 1 სანტიმეტრი წაუმატა.



დუენიასი შვიდი წელია მძლეოსნობაში ვარჯიშობს. 1968 წლის სამხტომში მისი საუკეთესო შედეგი 14,61 მ იყო. ერთი წლის შემდეგ პირადი რეკორდი 15,78 მეტრამდე გაზარდა, შარშანწინ კი 16,38 მეტრზე გადახტა და კუბის რეკორდსმენი გახდა. ამ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ცნობილ საბჭოთა სამხტომელს ლ. შჩერბაკოვს, რომელიც აგერ უკვე მრავალი წელია კუბაში მძლეოსანთა მწვრთნელად მუშაობს.

დუენიასი XX ოლიმპიადისთვის ენერგიულად ემზადება. სპორტსმენს განუზრახავს წლევანდელ პირად საუკეთესო შედეგს სწორედ ოლიმპიადაში მიაღწიოს და იმედოვნებს, რომ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ოქროს მედალს მოუტანს.

• • •

სურათზე: პედრო პერეს დუენიასი.

---

# სპასკი—ფიშერის მატჩის ირგვლივ

### ჯოანიც იქ არის

რეიკიავიკში მატჩზე დასასწრებად ფიშერის და ჯოანიც ჩავიდა. სწორედ მან ასწავლა ჭადრაკი ბობის. რა თქმა უნდა, ჟურნალისტები ჯოანთან საუბრის საშუალებას ეძებენ.

—დიახ, მახსოვს, 1958 წელს ბობის ბელგრადში რომ ჩამოვყევი, — გაიხსენა ჯოანმა იუგოსლავიის გაზეთ „სპორტის“ კორესპონდენტთან, დიდოსტატ დ. იანოშევიჩთან საუბარში. — მაშინაც ვთამაშობდით ერთმანეთთან პატარა მატჩებს.

ჭადრაკს ახლაც ვთამაშობ, მაგრამ ცოტას. დრო აღარ მაქვს, ოჯახით ვარ დატვირთული. ჩემი მეუღლე — ბერტრანდ რახელი ტექნიკის დოქტორია, ლაზერის სპეციალისტი. შვილებიც გვყავს.

ბობის ძალიან უყვარს ჩემი უფროსი ქალიშვილი ლილიანა. თქვენ ალბათ ფიქრობთ, დრო არ ექნება მის სანახავადო. არც ახეა საქმე.

გაიმარჯვებს თუ არა ბობი? რა თქმა უნდა, ეს ჩემი კომპეტენტური აზრია, — იცინის ჯოანი.

### რაც შეამჩნიეს...

უცხოეთის სპორტული პრესა ბევრს წერს მატჩზე. წერენ იმაზეც, თუ როგორ უჭირავთ თავი მეტოქეებს. აი, რა შეუმჩნევია გაზეთ „სპორტის“ (იუგოსლავია) კორესპონდენტს:

„სპასკი იშვიათად სვამს გამაგრილებელ წყალს. ფიშერი უფრო ცივი ხილის წვენს ეტანება.

სპასკი მთელ საღამოს მაგიდას გამართული უზის, ფიშერი სავარძლის საზურგეზეა გადაწოლილი.

მეტოქე სვლას რომ აკეთებს, სპასკი ცდილობს ხელი არ შეუშალოს, ფიშერი, როგორც კი სვლას გააკეთებს, ორი-სამი ნახტომით კულისებში გაუჩინარდება.

ზოგიერთ მოჭადრაკეს ჩვეულებად აქვს სვლის მერე მეტოქეს თვალებში ჩააშტერდეს, რათა გაიგოს სვლამ რა შთაბეჭდილება მოახდინა. ფიშერი არასოდეს ჩახედავს სპასკის თვალებში, სპასკი კი მეტოქეს წამით შეხედავს ხოლმე.

თამაშის დროს ფიშერი თავის პოზას ყურადღებას აქცევს, სპასკი — არა“.

### იცოცხლებენ კი 160 წელიწადს?

ინგლისში მოქმედებს კანონი: ინგლისელს ნება არა აქვს აჩუქოს უცხოელს 800 გირვანქა სტერლინგზე მეტი. ეს ამბავი გაიხსენეს მაშინ, როცა ინგლისელმა მილიონერმა ჯ. სლეიტერმა სპასკი — ფიშერის მატჩის საპრიზო ფონდს 130 ათასი დოლარი (50 ათასი გირვანქა სტერლინგი) დაუმატა, ოღონდ მატჩი არ ჩაშლილიყო.

როგორც ფინანსისტებმა გამოიანგარიშეს, სპასკიმ და ფიშერმა 160 წელიწადს უნდა იცოცხლონ, ეს პრიზი მთლიანად რომ მიიღონ!

---

# ლაშქრობა დამთავრდა

**ვლადივოსტოკი, 8 აგვისტო.** უსურიის ყურის ნაპირზე, შამორის უბის მახლობლად, დღეს მოტოტურისტთა საკავშირო შეკრება დამთავრდა. ასე დასრულდა საკავშირო რალის — „ხალხთა მეგობრობის“ საფინიშო ეტაპი. ეს რალი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალური კომიტეტის, პროფკავშირის ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს თაოსნობით მოეწყო.

შეკრება სამ დღეს გაგრძელდა. სარბიელზე გამოვიდა მოტოციკლისტთა 14 გუნდი. სსრ კავშირის შექმნის საიუბილეო წელიწადს ისინი ვლადივოსტოკს გაემგზავრნენ ლენინგრადიდან, ლატვიის, ყაზახეთის, ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და სხვა ქალაქებიდან.

მარშრუტი საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე გადიოდა.

საქპრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „ბელგიური სასწაული" მეორე „დუბლი"

პროფესიონალთა მრავალდღიან ველორბოლას „ტურ დე ფრანსს" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყველა სახის სპორტულ შეჯიბრებათა შორის დედამიწის ყველა კუთხეში. მართლაც, ეს მარტო მსოფლიოს უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრება როდია. ეს გახლავთ უმძიმესი გამოცდა, რომელიც სპორტსმენებისგან არაადამიანურ ნერვულ და ფიზიკურ დაძაბულობას მოითხოვს.

წარმოიდგინეთ, რომ კაცმა ველოსიპედით მინიმალურ დროში გაიაროს მთელი გზა თბილისიდან მოსკოვამდე და ისევ უკან. სწორედ ასეთი მანძილი, უფრო ზუსტად, 3893 კმ უნდა გაევლოთ სამ კვირაში 59-ე „ტურ დე ფრანსის" მონაწილეებს, თანაც არა ავტოტრასებზე, არამედ ყველაზე მაღალი ზეკარების ურთულეს გზებზე — პირინეისა და ალპების მთებში. აქ, ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე, ივლისის ცხელ დღეებშიც კი სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. სპორტსმენებს ხელს უშლიდა ნისლის სქელი საბურველი, რაც ზეკარიდან ისედაც სახიფათო, დაკლაკნილ ციცაბო დაღმართებზე სვლას აძნელებდა. „ტურ დე ფრანსის" ტრასის ბოლომდე გავლა ყველა ველოსიპედისტისთვის საპატიოა, მაგრამ ეს ყველას როდი ძალუძს. ანჟერში 132 სპორტსმენმა აიღო სტარტი, მაგრამ პარიზში მათგან მხოლოდ 88 ჩავიდა. რბოლა მიატოვა მონაწილეთა მესამედმა — 44 კაცმა, თანაც დებიუტანტებმა კი არა, იმ ხალხმა, ვისთვისაც ველოსპორტი პროფესიაა. ზოგმა მეტისმეტ ფიზიკურ დაძაბულობას ვერ გაუძლო, ზოგი ავად გახდა, ზოგიც (უმეტესობა) სერიოზულად დაშავდა. დრამატული იყო, მაგალითად, IX ეტაპის ფინიში. 170-კილომეტრიანი ტრასა ლუშონსა და კოლომიეს შორის გადიოდა. ამ რთულ სამთო ეტაპზე ოთხსაათნახევარზე მეტს გაგრძელდა ბრძოლა, დისტანციის ბოლო მეტრებში კი რამდენიმე მრბოლელი ერთმანეთს დაეჯახა. წინ მიმავალი ბელგიელი ჟ. სპრუიტი წაიქცა და ლავიწი გაუტყდა, მაგრამ ცხელ გულზე მაინც წამოხტა და ფინიშის ხაზი გადაჭრა. მან X ადგილი დაიკავა, მაგრამ მერე საავადმყოფოში გაგზავნეს. ჰოლანდიელი ა. უზრეხტსი სპრუიტს თავზე გადააფრინდა, ჰაერში ორჯერ გადატრიალდა თავისი ველოსიპედიანად და ასე წაქცეულმა მეშვიდემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. მეორე ჰოლანდიელი ა. პარინგსაც სირბილით მიიჭრა ფინიშთან და IX ადგილი დაიკავა. სანიტარულ შვეულმფრენებს, რომლებიც მრბოლელებს ახლდნენ, სპორტსმენები ერთიმეორეზე გადაჰყავდათ საავადმყოფოებში. ესპანელ მ. მენდესს ლავიწი გაუტყდა, ფრანგმა ა. სანტიმ ხერხემალი დაიშავა.

„ტურის" ქარავანს რადიოთი ორგზის აცნობეს, რომ რბოლას გამოაკლდა 24 წლის ფრანგი ბერნარ ტევენე. მაგრამ ეს ცნობა არც ერთხელ არ გამართლდა. საქმე ისაა, რომ მსაჯმა-ინფორმატორმა VII ეტაპზე დაინახა გზატკეცილზე უგონოდ გაშოტილი, თავპირდასისხლიანებული ტევენე, რომელსაც ექიმები ეხვეოდნენ. მანვე აცნობა ეს ამბავი სპორტსმენებს. მაგრამ ტევენე ასე მხოლოდ 7 წუთს დარჩა, მერე წამოვარდა, ექიმებს ხელიდან დაუსხლტა, ველოსიპედზე შეჯდა, ეტაპი მეთხუთმეტემ დაამთავრა და ისევ წაერთვა გონება. მან რამდენიმე ხნით მეხსიერებაც დაკარგა, ვერ გაიხსენა რა შეჯიბრებაში მონაწილეობდა და იმ დღეს რა სჭირდა. მიუხედავად ამისა, ტევენემ გააგრძელა რბოლა და ოთხი დღის შემდეგ მოიგო ერთ-ერთი უძნელესი ეტაპი ფინიშით ვანტუს ზეკარზე — „ტურ დე ფრანსის" უმაღლეს წერტილზე. იმ დღეს ტევენემ 207 კმ 7 საათსა და 13 წუთში გაიარა. მან ნახევარი წუთით გაუსწრო რბოლის ლიდერებს — ბელგიელ ედი მერქსსა და ესპანელ ლუის ოკანიას. ეტაპზე გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ ტევენემ მისთვის მირთმეული ყვავილების თაიგული ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ტომ სიმპსონის ძეგლთან დადო ვანტუს მწვერვალიდან 4 კილომეტრის დაშორებით: 1967 წლის 13 ივლისს სწორედ აქ წაიქცა დოპინგის დიდი დოზით მოწამლული სიმპსონი.

ტევენე კინაღამ დაისაჯა დაუდევრობისთვის. XII ეტაპზე მას კრიზისი ჰქონდა და თითქმის 10 წუთით ჩამორჩა ლიდერთა ჯგუფს. მაგრამ ფრანგმა სპორტსმენმა მაინც დაამთავრა რბოლა. ეგ კი არა, მოიგო XVII ეტაპი—პონტარლიე—ბელფორი (216 კმ) და საბოლოო ჩათვლაში საპატიო ადგილი დაიკავა პირველ ათეულში.

რბოლის მეორე აღმოჩენა გახლდათ 25 წლის კირილ გიმარი. ეს ფრანგი სპორტსმენი კარგად იყო ცნობილი ბრწყინვალე საფინიშო სპურტით, მაგრამ მრავალეტაპიან რბოლაში თავი არასოდეს გამოუჩენია. I და II ეტაპებზე მისი გამარჯვება არავის გაკვირვებია, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ გიმარმა VIII ეტაპამდე შეინარჩუნა ლიდერის ყვითელი მაისური. მან ეს ფერი დათმო და ყველაზე აქტიური მრბოლელის მწვანე მაისური ჩაიცვა მხოლოდ პირინეის მთებში, როცა მერქსმა ბევრად ჩამოიტოვა მეტოქეები და მარტოდმარტო მიიჭრა ფინიშთან ლუშონში. მაგრამ გიმარმა მხოლოდ „ბელგიური სასწაული" გაუშვა წინ (ახლა მერქსს ყველაზე ხშირად ასე ეძახიან. როგორც ჩანს, სიტყვა ფენომენი ჟურნალისტებს მისთვის ძალიან ნაკლებ ეპითეტად მიაჩნიათ), II ადგილზე დამკვიდრდა და ზედიზედ ორი სამთო ეტაპი (XIV და XV) მოიგო, ამასთან, ორივეჯერ რამდენიმე მილიმეტრით გაუსწრო მერქსს. საინტერესოა, რომ XV ეტაპზე, სადაც მრბოლელები ექს-ლე-ბენიდან (235 მ ზღვის დონიდან) 28 კმ-ის მანძილზე ლე რევარის (1500 მ) ზეკარზე ადიოდნენ და დისტანცია საათსა და 9 წუთში გაიარეს. მერქსმა ბოლო მეტრებზე უკვე გამარჯვების ნიშნად ზეაღმართა მარჯვენა ხელი, გიმარის საფინიშო ბიძგისა აღარ ეშინოდა. მაგრამ ფოტოფინიშმა გამარჯვება ფრანგს არგუნა. ოღონდ, როგორც ჩანს, გიმარმა მეტისმეტად დაატანა ძალა საკუთარ სხეულს, რის გამოც მუხლები დაუსივდა და ექიმები ნოვოკაინის ნემსებს უკეთებდნენ. რბოლის დამთავრებამდე სამი დღით ადრე გიმარი ასპარეზობას გამოეთიშა XVIII ეტაპის სტარტის შემდეგ. ამ დროისთვის იგი მერქსთან 7 წუთსა და 43 წამს აგებდა.

ასევე უსახელოდ დაამთავრა მერქსთან ჭიდილი ესპანელმა ოკანიამაც. იგი დიდი ხანია საფრანგეთში ცხოვრობს, საფრანგეთის ფირმა „ბიკის" სახელით გამოდის (ეს ფირმა ბურთულიანი კალმებით მთელს მსოფლიოშია განთქმული), მაგრამ ესპანეთის მოქალაქეობას ინარჩუნებს. ოკანია შარშანდელ სეზონში № 2 მრბოლელად აღიარეს. შარშან „ტურ დე ფრანსში" მან ღირსეული მეტოქეობა გაუწია მერქსს და მხოლოდ მძიმე ტრავმამ შეუშალა ხელი I ადგილისთვის ბრძოლაში. წლეულს ოკანიამ მზადება ისე წარმართა, რომ საუკეთესო ფორმაში ივლისისთვის ყოფილიყო. იგი არც ესპანურ „ვუელტაში" გამოსულა, არც „ჯირო დ'იტალიაში", რათა ძალა შემოენახა. მაგრამ მერქსისა და ოკანიას ნანატრი დუელი მაინც არ შედგა. ბელგიელი ძალიან ფხიზლად ადევნებდა თვალს მეტოქეს და იოლადაც იგერიებდა მის ყველა იერიშს — ერთხელაც არ გაუშვია წინ. თავის მხრივ, მერქსის იერიშებმა რამდენიმეჯერ გადაუწურა იმედი ოკანიას. იგი აღელდა და რამდენიმეჯერ წაიქცა კიდეც, როცა ცდილობდა თავბრუდამხვევ დაღმართზე მერქსს დასწეოდა. ესპანელი გატაცებულია არასერიული, გამარტივებული ველოსიპედებით, ეს მანქანები კი თავდაღმართში ძალიან სუსტია. მართალია, ამჯერად ოკანია მძიმედ არ დაშავებულა, მაგრამ მხარი და ფეხი მაინც იტკინა. მერე ექიმებმა ბრონქიტიც აღმოუჩინეს და XIV ეტაპის შემდეგ რბოლიდან მოხსნეს. ამ დროს ოკანია უკვე V ადგილზე იყო და მერქსთან 12 წუთს აგებდა. გულდაწყვეტილმა მრბოლელმა თქვა: „ვერ ვიტყვი, ტურს მოვიგებდი-მეთქი, მაგრამ დაუმარცხებელი მერქსის შემდეგ მეორე მაინც ვიქნებოდი. მეც მერგებოდა ჩემი წილი ტაშიც და ფულიც. პროფესიონალი ველომრბოლელის ხელობა ძალიან რთული და ხანმოკლეა. ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა იგემო შენი შრომის ნაყოფი".

ოკანიას ამბავი რომ გაიგო, მერქსმა თქვა: „უმისოდ ტურმა ინტერესი დაკარგა. გულით მინდოდა ოკანიასთან პარიზამდე მებრძოლა". უნდა შევნიშნოთ, რომ ოკანიამ ოთხჯერ აიღო ამ შეჯიბრების სტარტი, მაგრამ მხოლოდ 1970 წელს შეძლო რბოლის დამთავრება. მაშინ მან 31-ე ადგილი დაიკავა და მერქსთან საათზე მეტი წააგო.

მას შემდეგ, რაც „დიდ თამაშს" ოკანია და გიმარი გამოაკლდნენ, II ადგილისთვის ბრძოლა გაჩაღდა ვეტერანებს — 36 წლის ფრანგ რაიმონ პულიდორსა და 30 წლის იტალიელ ფელიჩე ჯიმონდის შორის. გამოცდილმა მრბოლელებმა, რომლებიც ამ ბოლო დროს „ჩრდილში მოექცნენ", ყველას გასაკვირად სტაბილურად გაიარეს მთელი ტრასა და, თუმცა არც ერთი ეტაპი არ მოუგიათ, არც ძვირფასი წუთები დაუკარგავთ. ჯიმონდიმ ერთადერთმა შეძლო ორჯერ შეენარჩუნებინა ადგილი მერქსის შემდეგ ზეკარზე, ეყო ჭკუა, რომ მსოფლიო ჩემპიონისთვის იერიშებით თავი არ მოებეზრებინა. სწორედ ამის წყალობით დაიკავა იტალიელმა ერთხელ II და ორჯერ III ადგილი ეტაპებზე. ბოლო ეტაპზე ვერსალიდან პარიზამდე ინდივიდუალურ რბოლაში მოპოვებულმა II ადგილმა მას იმ ოთხი წამის ამოგების საშუალება მისცა, რაც პულიდორისგან აშორებდა. ესე იგი, „ტურ დე ფრანსში" 1965 წელს მოპოვებული გამარჯვებიდან 6 წლის შემდეგ ჯიმონდიმ... ისევ მოიგო „ტურ დე ფრანსი". სწორედ ასე უწოდა მის გამარჯვებას იტალიის პრესამ: „ჯიმონდიმ მოიგო „ტურ დე ფრანსი". მართალია, მერქსი უფრო ადრე მივიდა ფინიშთან, მაგრამ მას არ ვგულისხმობთ. რაკი მერქსი სტარტზე გამოდის, ეს ნიშნავს, რომ ცოცხალი თავით არ წააგებს. მერქსის გამარჯვება საკითხავი არ არის. უნდა იკითხო, სტარტს იღებს თუ არა. ჩვენი წინადადებაა 1973 წლიდან შემოიღონ ახალი წესი: სპორტსმენს, რომელიც ფინიშთან სხვებზე ბევრად ადრე მივა, დისკვალიფიკაცია მიეცეს. საკმარისია შეჯიბრება ინდივიდუალური რბოლით ან რთული სამთო ეტაპით დაიწყოს, რომ მერქსი მყისვე დისკვალიფიკაციას მიიღებს. დანარჩენები კი ნორმალურად გააგრძელებენ შეჯიბრებას".

გაზეთი „უნიტა" წერდა: „მაშ ასე, თუ მერქსს არ ჩავთვლით, თავშეკავების, შეუპოვრობისა და სიფრთხილის წყალობით გაიმარჯვა ჯიმონდიმ. იგი ამ ადგილზე ვერ გავიდოდა, შეჯიბრებას რომ არ გამოჰკლებოდნენ ჯერ ოკანია, მერე გიმარი, დასასრულ, პულიდორი იმ ასაკში რომ არ იყოს, როცა ბავშვები დაჰყავთ ხოლმე საბავშვო ბაღში და რბოლაში აღარ მონაწილეობენ. პულიდორი ასაკმა დაღუპა, გიმარი და ოკანია კი არაადამიანურმა დაძაბულობამ. ოკანია თვითმკვლელი იყო, როცა მერქსს უტევდა და საპასუხო მოქმედებისკენ უბიძგებდა. ჯიმონდი მერქსს კი არა, დანარჩენებს ებრძოდა და ბევრიც დაამარცხა. ოკანიასა და გიმარს რაც შეეხება, აქ ჯიმონდი ჩინურ სიბრძნეს მისდევდა: „ნაპირზე იჯექი და დაელოდე, როდის ჩაატარებს მდინარე შენი მტრის გვამებს".

რაც შეეხება ფრანგ გულშემატკივართა კერპს, სიმპათიურ „პუპუს" (ასე ეძახიან პულიდორს), როგორც ჩანს, ეს მისი ბოლო და უიღბლო ცდა იყო „ტურ დე ფრანსის" მოგებისა. პულიდორმა ათჯერ აიღო სტარტი ამ რბოლაში, მაგრამ „მუდმივი მეორის" როლი ვერ მოიცილა — ჯერ ჟაკ ანკეტილი გადაეღობა გზაზე, მერე ედი მერქსი.

მაშ ასე, ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიონალთა შორის (1967 და 1971 წლებში), 27 წლის ედი მერქსმა ზედიზედ მეოთხედ მოიგო „ტურ დე ფრანსი", რაც დღემდე მხოლოდ ანკეტილმა შეძლო (1961-1964 წლებში). ახლა მერქსმა კიდევ ერთი „ტური" უნდა მოიგოს, რათა ანკეტილს გაუთანაბრდეს მოგებათა საერთო რიცხვით (ანკეტილმა „ტურში" 1957 წელსაც გაიმარჯვა). მერქსმა გაიმეორა ლეგენდარული ფაუსტო კოპის შედეგი — ორჯერ გააკეთა „დუბლი" — ერთ სეზონში მოიგო „ჯირო" და „ტური" — 1970 და 1972 წლებში (კოპიმ ასეთივე წარმატებას მიაღწია 1949 და 1952 წლებში). მერქსს „დუბლის" გაკეთება 1969 წელსაც შეეძლო, მაგრამ „ჯიროს" ერთ-ერთ ბოლო ეტაპზე სასმელში დოპინგი შეურიეს.

ფაქტიურად, „ტურ დე ფრანსის" ორგანიზატორები წლეულს ცდილობდნენ ტრასა მერქსის წინააღმდეგ „მოეწყოთ". მათ იმედი ჰქონდათ, რომ 500 კილომეტრი აღმართის დაძლევა მერქსს გაუჭირდებოდა და ოკანიას კარგი შანსი ექნებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა. მერქსი დაფრინავდა მთებში, მისმა მეტოქეებმა კი ტრასის სირთულეს ვერ გაუძლეს. მერქსმა 6 ეტაპი მოიგო და კიდევ ოთხჯერ დაიკავა II ადგილი. მსოფლიო ჩემპიონი ყურადღებით ადევნებდა თვალს მთავარ მეტოქეებს და მხოლოდ იმათ აძლევდა ეტაპის მოგების უფლებას, ვინც ლიდერს ყვითელ მაისურში არ შეეცილებოდა. ასე დაიკავეს ეტაპებზე გამარჯვებულმა ბელგიელებმა ჟ. ჰიუსმანსმა, ვ. გოდფროტმა და რ. ვან ლინდენმა საერთო ჩათვლაში შესაბამისად 28-ე, 44-ე და მე-80 ადგილები. ახალგაზრდა ბელგიელმა ვ. ტიერლინკმა 3 ეტაპი მოიგო, მაგრამ ბოლოს 66-ე ადგილზე იყო. ჰოლანდიელი რ. ვაგტმანსი 54-ე აღმოჩნდა, იტალიელი რ. გალაცინი და ჰოლანდიელი ლ. დინდამი პარიზამდე ვერ ჩავიდნენ. საუკეთესო ბელგიელმა „მეკლდეურმა", მინიატურულმა ლიუსიენ ვან იმპმა, რომელმაც საერთო IV ადგილი დაიკავა (შარშან იგი „ტურის" მესამე პრიზიორი იყო), მხოლოდ ერთი ეტაპის მოგება შეძლო. შარშანდელი მეორე პრიზიორი, ჰოლანდიელი ჟ. ზუტემელკი ახლა V ადგილს დასჯერდა.

მთელი დისტანცია — 3893 კმ — მერქსმა 108 საათში, 17 წუთსა და 18 წამში გაიარა. მეორე პრიზიორ ჯიმონდის მან 10 წუთითა და 41 წამით გაუსწრო, პულიდორს — 11,34-ით, XV ადგილზე გასულ ბელგიელ მ. ვან დენ ბოშს — თითქმის მთელი საათით (59.29), ხოლო ყველაზე ბოლო ადგილზე მყოფ ფრანგ ა. ბელუაზს — 4 საათით, 3 წუთითა და 33 წამით. გამარჯვებულის საშუალო სიჩქარე მთელს ტრასაზე საათში 35,5 კმ იყო. ერთი შეხედვით, ეს დიდი სიჩქარე არ არის, მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სამთო ეტაპებზე იგი საათში 30 კმ-ზე დაბლა ეცემოდა, როცა სწორ გზებზე 45 კმ-ს აღწევდა. 42 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში ბოლო ეტაპზე მერქსმა საათში 47 კილომეტრს მიაღწია. გუნდური რბოლის III ეტაპზე „მოლტენის" გუნდმა მერქსის მეთაურობით 16 კმ საათში საშუალოდ 50 კმ-ის სიჩქარით გაიარა. უნდა აღინიშნოს, რომ „მოლტენის" წევრები (იტალიის ეს ფირმა ხორცის კონსერვებს უშვებს) — ბელგიელი მრბოლელები — რაც შეეძლოთ ეხმარებოდნენ თავიანთ კაპიტანს მთელი „ტურის" მანძილზე. ფაუსტო კოპის მიერ დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, გამარჯვებულმა რბოლის დამთავრების შემდეგ დამხმარეებს დაურიგა ცალკეულ ეტაპებზე მოგებული 20 ათას დოლარზე მეტი.

გასულ სეზონში მერქსს ძალიან დაძაბული პროგრამა ჰქონდა. მან ერთ წელიწადში 52 გამარჯვება მოიპოვა, რაც სარეკორდოა რბოლებში, მაგრამ სეზონის ბოლოს უკვე ძალიან დაქანცული იყო. წლევანდელი წელი მერქსმა უფრო რაციონალურად დაგეგმა. ორ თვეში მან „ჯიროსა" და „ტურში" თითქმის 8 ათასი კმ გაიარა, მაგრამ პარიზში ისე ჩავიდა, დაღლილობა არ ეტყობოდა. თუმცა რბოლა მისთვის, რასაკვირველია, არც იოლი გასეირნება ყოფილა. ტრასა უხიფათოდ მერქსმაც კი ვერ გაიარა, რომელიც ძალიან იშვიათად ეცემა შეჯიბრების დროს. „ტურის" IX ეტაპზე იგი წაიქცა, მხარი, თეძო და მარჯვენა ფეხი იტკინა: ოკანიას გულშემატკივრებიდან რომელიღაცამ ქვა ესროლა და ხელში მოარტყა. მოულოდნელობისგან შემკრთალმა ბელგიელმა წონასწორობა დაკარგა, მაგრამ მერე სწრაფად შეცვალა ველოსიპედი და ჯგუფს დაეწია.

...გასულ კვირას საფრანგეთის ქალაქ გაპის შიდამოებში პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. მერქსი ყოველნაირად შეეცადა მესამედ მოეხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, ერთდღიან რბოლაში (სადაც შემთხვევას დიდი მნიშვნელობა აქვს), მაგრამ თავბრუდამხვევ საფინიშო სპრინტში, რომელმაც ექვსსაათიანი მძიმე ბრძოლა დაასრულა, ფოტოფინიშმა საპრიზო სამეულში არ დაუტოვა ადგილი. გაიმარჯვა იტალიელმა მარინო ბასომ, რომელიც წლევანდელ „ტურ დე ფრანსში" 82-ე იყო — მერქსს 2 საათითა და 46 წუთით ჩამორჩა. II ადგილზეა იტალიელი ფრანკო ბიტოსი, III — გიმარი.

**მ. ზარამია.**

• • •

უკან დარჩა ასობით კილომეტრი — წამების გზები — ნისლი და ქარი, თვალშეუდგამი აღმართი და თავბრუდამხვევი დაღმართი, კვალში ჩამდგარი უამრავი მეტოქე, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ყოველი მეტრისთვის, ყოველი წამისთვის.

რა შეიძლება ჯილდოდ მიიღოს ამ ბრძოლაში გამარჯვებულმა, ფინიშთან უკვე ილაჯგაწყვეტილმა, არაადამიანური დაძაბულობით დაოსებულმა სპორტსმენმა? „ტურ დე ფრანსის" მესვეურებმა ასპარეზობის გმირს, მსოფლიოში ჭეშმარიტად პირველ ველოსიპედისტს ედი მერქსს გარდახდილის საზღაურად ფინიშზე ტრადიციისამებრ ლამაზი ქალის ხელით მირთმეული პრიზი დაახვედრეს. რა მიხვედრილი ხალხი ყოფილა!

**რედაქტორი მ. ჰაჰაბაძე.**

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 10184